მემუარებში ასახული საგარეო პოლიტიკა და პირადი ურთიერთობების როლი შევარდნაძის საგარეო პოლიტიკაში

ფიქრია გეგიძე

სამაგისტრო ნაშრომი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, ისტორიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: საქართველოს თანამედროვე ისტორია

აკადემიური ხელმძღვანელი: სტივენ ჯონსი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

„როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ფიქრია გეგიძე

09/06/2023

აბსტრაქტი

რას გვაძლევს მემუარები საგარეო პოლიტიკის და მისი განმსაზღვრელი ფაქტორების თაობაზე მსჯელობისას და რამდენად შესაძლებელია მათი მეშვეობით ქვეყნებს შორის განვითარებული ურთიერთობების დინამიკა დავინახოთ. ზოგადად, რა გავლენას ახდენს მემუარებში აღწერილი პირადი ურთიერთობები საგარეო პოლიტიკაზე?

ნაშრომი ამ კითხვებზე პასუხის გაცემით ეცდება დაადგინოს რა გავლენა მოახდინა საქართველოს პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის პირადმა ურთიერთობებმა საქართველოსა და აშშ-ს შორის ურთიერთობების ფორმირებაზე დამოუკიდებლობის პირველ წლებში და რამდენად ასახავს საქართველოს საგარეო პოლიტიკაში პირადი ურთიერთობების როლს ამ პერიოდის თანამედროვეთა მემუარები.

კვლევა შედგება ერთსადაიმავე პერიოდის შესახებ დაწერილი მემუარების კონტენტანალიზისგან და მისი მიზანია მათში აღწერილი მოვლენების, არქივებში დაცულ დოკუმენტებში მოყვანილი ფაქტებისა და ინტერვიუებში აღწერილი მოგონებების მეშვეობით დაადგინოს შევარდნაძის პირადი ურთიერთობების გავლენის როლი საქართველოსა და აშშ-ის ურთიერთობებში და მემუარების მეშეობით ისტორიის რეკოსნტრუქციის შესაძლებლობა.

Abstract

What do memoirs give us in discussion on foreign policy and its determining factors and how much is it possible to see the dynamics of the relations between countries through them. In general, how do the personal relationships, which are described in memoirs affect foreign policy?

By answering these questions, the paper will try to determine what influence the personal relations of the President of Georgia, Eduard Shevardnadze, had on the formation of relations between Georgia and the USA in the first years of independence, and to what extent the memoirs of contemporaries of this period reflect the role of personal relations in the foreign policy of Georgia.

The research consists of a content analysis of memoirs written about the same period, and its purpose is to determine the role of the influence of Shevardnadze's personal relationships in the relations between Georgia and the USA, and the possibility of reconstructing history through the memoirs, through the events described in them, the facts mentioned in the documents preserved in the archives, and the memories described in the interviews.

მადლობა

განსაკუთრებული მადლობა, ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ბატონ სტივენ ჯონსს და ბექა კობახიძეს, რომლის რჩევებიც დამეხმარა როგორც ნაშრომის შინაარსის ჩამოყალიბებაში, ისე წყაროების მოძიებაში.

ასევე, ნაშრომზე მუშაობისას გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდი ბატონ თედო ჯაფარიძეს და ბატონ გაბრიელ ჩუბინიძეს.